საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/721
02.07.2025

ბრძანება

721-01-4-202507021706

გადაწყვეტილება

შპს „გოუტრიპის“ (ს/ნ 405198673) 2025 წლის 14 მაისის N01/2980 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2025 წლის 14 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „გოუტრიპის“ (ს/ნ 405198673) (შემდგომში - მომჩივანი/შპს „გოუტრიპი“) საჩივარი (რეგ. N01/2980) შპს „ტრიპჰაბის“ (ს/ნ 405618318) (შემდგომში - მოპასუხე/შპს „ტრიპჰაბი“) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იყენებს მომჩივნის სახელს “Google Ads”-ის სისტემაში. კერძოდ, ამავე სისტემაში მოპასუხეს მითითებული აქვს, რომ ის „უკეთესია ვიდრე გოუტრიპი“ (ინგლისურად: “Better than GoTrip”). მომჩივნის მითითებით, მოპასუხის ქმედება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ზიანს აყენებს როგორც კონკურენტის (შპს „გოუტრიპი“), ასევე მომხმარებლის ინტერესებს.

მომჩივნის მითითებით, “Google”-ს აქვს ფასიანი რეკლამის განთავსების სერვისი (“Google Ads”), რომელიც გლობალურად, მათ შორის, ქართული კომპანიებისთვისაც ხელმისაწვდომია. აღნიშნული სერვისი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მექანიზმს მომხმარებლის მოზიდვისა და ინტერნეტში კომპანიის ხილვადობის გასაზრდელად. დამკვეთი ირჩევს შესაბამის საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებსაც მომხმარებლები საძიებო ველში კრეფენ

პროდუქტის ან მომსახურების მოსაძებნად (მაგალითად, „მოგზაურობა საქართველოში“, „ქართული ღვინო“, „ჩურჩხელა“ და სხვ.), იქმნება მოკლე სარეკლამო ტექსტი, რომელსაც დართული აქვს კომპანიის ვებსაიტზე გადასასვლელი ბმული. მომხმარებლის მიერ შერჩეული საკვანძო სიტყვის აკრეფისას, “Google” საძიებო შედეგების გვერდზე აჩვენებს რეკლამას კომპანიის საიტის ბმულთან ერთად.

მომჩივნის განმარტებით, რეკლამის დამკვეთს შეუძლია რეკლამა მიმართოს, მათ შორის, კონკრეტული აუდიტორიისკენ - მაგალითად, მხოლოდ გარკვეული ასაკობრივი კატეგორიის ან კონკრეტულ რეგიონში მცხოვრები პირებისკენ. რეკლამა ჩანს “Google”-ს საძიებო შედეგების პირველ ან მეორე გვერდზე. კომპანიას აქვს შესაძლებლობა მარტივად შეაფასოს რეკლამის ეფექტურობა, შეიტანოს ცვლილებები ან ნებისმიერ დროს შეაჩეროს მისი განთავსება.

საჩივრის მიხედვით, მომჩივანი და მოპასუხე არიან კონკურენტი კომპანიები, რადგან ისინი მომხმარებლებს იდენტურ მომსახურებას - ინდივიდუალური შეკვეთების საფუძველზე ავტომობილით გადაყვანის სერვისს სთავაზობენ, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში. მომხმარებელს შეუძლია ორივე კომპანიის ვებპლატფორმაზე მიუთითოს საწყისი და დანიშნულების წერტილები, მგზავრობის დრო და აირჩიოს ავტომობილის ტიპი შეთავაზებული ვარიანტებიდან. შეკვეთის დადასტურების შემდეგ, მომსახურებას ახორციელებს პლატფორმაზე რეგისტრირებული მძღოლი. როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე, საკომისიოს იღებენ მომხმარებლისა და მძღოლის დაკავშირების სანაცვლოდ.

მომჩივნის მტკიცებით, მოპასუხე საკუთარი მომსახურების რეკლამირებისა და ვებსაიტზე მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით არაკეთილსინდისიერად იყენებს მის საფირმო დასახელებას „გოუტრიპი“ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს “GoTrip” “Google Ads”-ის სისტემაში. კერძოდ, “Google”-ის საძიებო სისტემაში სიტყვა “GoTrip”-ის შეყვანის შემთხვევაში, ძიების შედეგებში რეკლამად ჩნდება მოპასუხის ვებგვერდი და ტექსტი - “Better than GoTrip” (ქართულად: „უკეთესი, ვიდრე გოუტრიპი“) (იხ. სურათი N1). აღნიშნულ რეკლამაზე დაჭერისას, მომხმარებელი გადადის მოპასუხის ვებგვერდზე. მომჩივნისთვის ზუსტად უცნობია, როდის დაიწყო მოპასუხემ მისი სახელის გამოყენება, თუმცა ვარაუდობს, რომ ეს მოხდა 2023 წლის სექტემბერში, როდესაც მოპასუხის ვებგვერდი “tripify.ge” ამოქმედდა.

სურათი N1

მომჩივანი აცხადებს, რომ შპს „გოუტრიპს“ აქვს მაღალი რეპუტაცია და ტურისტულ ვებსაიტზე - “tripadvisor.com” - მინიჭებული აქვს ხუთვარსკვლავიანი რეიტინგი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის ცნობადობასა და მომხმარებელთა ნდობას. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანია დაარსდა გაცილებით ადრე, ვიდრე შპს „ტრიპჰაბი“: „გოუტრიპი“ დაფუძნდა 2017 წელს, ხოლო მოპასუხე – 2023 წელს.

მომჩივანი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სიტყვა „გოუტრიპ“ (ინგლ. “GoTrip”) გამოგონილია და არ აქვს რაიმე ზოგადი მნიშვნელობა ინგლისურ ან სხვა ენებში. შესაბამისად, მომჩივნის აპელირებით, მოპასუხეს სიტყვა „გოუტრიპ“ შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ მომჩივნის საფირმო სახელწოდებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მიხედვით.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხემ მისი სახელის არამართლზომიერი გამოყენებით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომპანიას. ამასთან, იგი აცხადებს, რომ ობიექტურად შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს, რამდენი მომხმარებელი გადაიბირა ან მიიზიდა მოპასუხემ და რა ოდენობის მატერიალური სარგებელი მიიღო აღნიშნული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მომჩივნის პოზიციით, აშკარაა, რომ მოპასუხე მისი სახელის გამოყენებით ახორციელებს საკუთარი მომსახურების რეკლამირებას და მომხმარებელთა მიზიდვას. აღნიშნული ქმედება კი წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მომჩივანსა და მოპასუხეს შორის უკვე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. დავის საგანია მოპასუხის მიერ მომჩივნის საფირმო დასახელებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება, რის საფუძველზეც მომჩივანი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. საქმის მასალებთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი საპროცესო დოკუმენტაცია სარჩელის სახით.

1.2. მოპასუხის პოზიცია

სააგენტოს 2025 წლის 16 მაისის წერილით (რეგ. N02/2234) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, გასაცნობად და მასზე საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ ეკონომიკურ აგენტს - შპს „ტრიპჰაბს“. კორესპონდენცია ადრესატს ჩაბარდა ელ-ფოსტით, 2025 წლის 22 მაისს.

მოპასუხისგან სააგენტოში წერილობითი პოზიცია (2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით არ შემოსულა.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

კანონის 1-ლი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის 11[3] მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური

აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რომლებზეც ეს კანონი არ მოქმედებს. მათ შორის, 1.4. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს კანონი არ ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის გამოიყენება.

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. საგულისხმოა ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, აგრეთვე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს. საკითხის განხილვა (მათ შორის საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზეც) მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ცვლის სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პირობებში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების ფარგლებსა და მოცულობას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლების ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ სააგენტო უარს ამბობს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის ფუნდამენტურ ვალდებულებაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სააგენტო შეისწავლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, თუმცა შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრულ ჩარჩოში, მათ შორის, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობაზე მსჯელობის ნაწილშიც.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის

საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, მომჩივნის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე საჩივრის მატერიალური დასაშვებობისა და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის დადგენილი ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო მომჩივნის მხრიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ხსენებული ვადის დინების განახლების საფუძველია.

პროცედურის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე, პროცედურის მე-11 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება: ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა; ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება; გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება. ხოლო მე-12 მუხლის ადგენს ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგებს.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო პროცედურით განსაზღვრულ ვადაში შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, რომლის თანახმადაც სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი უფლებამოსილ პირს არ წარუდგენია;

ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

გ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება განსაზღვრულ ვადაში არ არის წარდგენილი;

დ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) საქმის მოკვლევის შედეგად სააგენტოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება;

ვ) სააგენტოს მიღებული აქვს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება, გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებისა;

ზ) სასამართლო წარმოებაშია საქმე, რომელიც ეხება დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით, ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

თ) საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლისას სააგენტო თანხმობას განაცხადებს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33^2 მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

კანონის 24-ე მუხლის ,,ზ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე ან იმავე დავის საგანზე სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება ან სხვა გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. განსახილველი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ნორმის განმარტებას დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. კერძოდ, მოცემული ნორმის ელემენტები შემდეგია:

1. დავის არსებობა სასამართლო წარმოებაში;

2. დავა იმავე მხარეებს შორის;

3. დავის საგნის იდენტურობა.[1]

3.1. დავის არსებობა სასამართლო წარმოებაში

შპს „გოუტრიპი“ საჩივარში მიუთითებს, რომ მომჩივანსა და მოპასუხეს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომლის ფარგლებში მომჩივანი ითხოვს მოპასუხისგან მისი საფირმო დასახელებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერი გამოყენების აკრძალვას და ზიანის ანაზღაურებას. სარჩელი, რომლის შინაარსიც არსებითად იდენტურია სააგენტოში წარდგენილ საჩივართან და რომელიც ერთვის საქმის მასალებს, სასამართლოში დარეგისტრირდა 2024 წლის 13 დეკემბერს . შესაბამისად, ნორმის აღნიშნული ელემენტის არსებობა დასტურდება.

3.2. დავა იმავე მხარეებს შორის

შპს „გოუტრიპის“ მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით დგინდება, რომ სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია შპს „ტრიპჰაბის“ წინააღმდეგ. ანალოგიურად, სააგენტოში წარმოდგენილი 2025 წლის 14 მაისის საჩივრით (რეგ. N01/2980) დგინდება, რომ მომჩივანი კანონის 11^3 მუხლის

[1] სააგენტოს 2022 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილება - შპს „დემაკლენკო იტალიას“ საქმე, გვ. 8 (https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/a8b44aeee2724ab8b7987065f936e9b4.pdf) (ბოლო ნახვა 30.06.2025).

დამრღვევ პირად მიიჩნევს და მოპასუხედ განსაზღვრავს შპს „ტრიპჰაბს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი ნორმის დასახელებული ელემენტის არსებობაც დგინდება.

3.3. დავის საგნის იდენტურობა

მხარეთა შორის დავის საგნის შინაარსს განსაზღვრავს მოთხოვნის ორი შემადგენელი ელემენტი: 1. ფაქტობრივი საფუძველი და 2. სამართლებრივი საფუძველი.

3.3.1. მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი

მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს, რომ მომჩივნის მიერ წამოყენებული მოთხოვნები გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას ემყარება. შესაბამისად, მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მოიცავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, საიდანაც გამომდინარეობს შესაბამისი მოთხოვნის შინაარსი/საგანი. სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრისა და სასამართლო წარმოებაში არსებული სარჩელის ურთიერთშედარების შედეგად დგინდება, რომ განსახილველი დავის ფაქტობრივი საფუძველი არსებითად იდენტურია. კერძოდ, მომჩივანი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად ასახელებს იმავე ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მითითებულია სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში. კერძოდ, ორივე შემთხვევაში, შპს „გოუტრიპი“ აცხადებს, რომ მოპასუხე შპს „ტრიპჰაბი“ „Google Ads“-ის სისტემაში არაკეთილსინდისიერად იყენებს მის საფირმო დასახელებასა და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს „GoTrip“, მათ შორის, სარეკლამო ფრაზით „Better than GoTrip“. შესაბამისად, დადგენილია მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის იგივეობა.

3.3.2. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გულისხმობს ნორმატიული რეგულირების არსებობას, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს დარღვეული უფლებების აღდგენა ან კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, სასამართლოს მეშვეობით ან მის გარეშე. ასევე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომელიც ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ანიჭებს უფლებას, მეორე მონაწილისაგან მოითხოვოს გარკვეული მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

სასამართლოში წარდგენილ სარჩელში შპს „გოუტრიპი“ ამტკიცებს, რომ მოპასუხემ დაარღვია მისი, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელის, განსაკუთრებული უფლებები. სარჩელის თანახმად, მოპასუხემ უკანონოდ და უნებართვოდ გამოიყენა, როგორც მოსარჩელის საფირმო სახელწოდება „გოუტრიპი“, ისე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „GoTrip“, რაც საფრთხეს უქმნის მოსარჩელის კომერციულ ინტერესებს და აზიანებს მის საქმიან რეპუტაციას. ამ საფუძველზე, მოსარჩელე ითხოვს შემდეგს: ა) შეწყვიტოს მოპასუხემ მოსარჩელის საფირმო სახელწოდების „გოუტრიპი“ და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „GoTrip“ გამოყენება ნებისმიერ ენაზე და ნებისმიერ ფორმატში, მათ შორის – ინტერნეტ სივრცეში და სხვა საშუალებებით; ბ) დაეკისროს მოპასუხეს ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, სასაქონლო ნიშნისა და საფირმო სახელწოდების უკანონო და უნებართვო გამოყენების შედეგად წარმოშობილი ზიანის ასანაზღაურებლად.

საგულისხმოა, რომ ეროვნულ დონეზე, სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ადგენს განსაკუთრებული უფლების მფლობელის შესაძლებლობას, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის „იდენტურია ან მსგავსია და რომელსაც საქართველოში აქვს რეპუტაცია, მიუხედავად საქონლის იდენტურობისა ან მსგავსებისა, თუ ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან განმასხვავებელუნარიანობას“. ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევისას სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს სარეკლამო მასალის ან აბრის განადგურება, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს ან არის მისი ასლი ან იმიტაცია, მათ შორის, ინტერნეტში განთავსებული ისეთი მასალის ან გამოსახულების წაშლა, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შპს „გოუტრიპის“ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, მათ შორის, მითითებულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები. კონკრეტულად, შპს „გოუტრიპი“ მიუთითებს, რომ მოპასუხე

იყენებს მოსარჩელის საფირმო სახელწოდებასა და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს შედარებით რეკლამაში ფორმულირებით: „უკეთესი, ვიდრე გოუტრიპი“. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, შედარებითი რეკლამა დაუშვებელია, თუ ის ახდენს კონკურენტის მდგომარეობის, სავაჭრო ნიშნების, სავაჭრო დასახელებების, სხვა განმასხვავებელი ნიშნების, საქონლის, მომსახურების ან საქმიანობის დისკრედიტაციას.

სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც ეს ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითაა დადგენილი, **რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაა**. ეს მიზანი განსაზღვრულია საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილებისა და აღკვეთის პარალელურად, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კანონის ინტერპრეტაციას კონკურენციის კონტექსტში. აღნიშნული დებულება, თავისი შინაარსით, სცილდება მხოლოდ რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს და ეხება კონკურენციის კანონმდებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის დაცვასა და შენარჩუნებას. მაშასადამე, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული მიზანი ეხმიანება კონკურენციის კანონმდებლობას და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირეულ პრინციპებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. თუკი რეკლამა ემსახურება მომხმარებლისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნას და კონკურენტი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის დისკრედიტაციას ან/და რეპუტაციის შელახვას, იგი აზიანებს არა მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტს, ასევე საფრთხეს უქმნის კონკურენტულ გარემოს. თავის მხრივ, ამგვარი მოცემულობა, უკვე სცდება რეკლამის შინაარსობრივ რეგულაციას და ექცევა კონკურენციის სამართლებრივი ჩარჩოს ქვეშ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროები ერთმანეთთან იკვეთება იმ ნაწილში, სადაც საუბარია ეკონომიკურ აგენტებზე დაკისრებულ გარკვეულ პასუხისმგებლობაზე. კერძოდ, როგორც რეკლამის შესახებ, ისე კონკურენციის კანონმდებლობა კრძალავს ისეთ რეკლამას, რომელიც საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევით, კონკურენტის რეპუტაციის შელახვისა და მომხმარებლის ინტერესების დაზიანების გზით, ეკონომიკურ სუბიექტს არასამართლიან უპირატესობას ანიჭებს საქართველოს სასაქონლო ან საფინანსო ბაზარზე.

სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში შპს „გოუტრიპი“ აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ ეხება საავტორო უფლებების დარღვევას და ის არ აყენებს რაიმე მოთხოვნას, რომელიც დაკავშირებულია მომჩივნის საავტორო უფლებების დაცვასთან. კერძოდ, მომჩივანი სასამართლოს სთხოვს, მოპასუხემ შეაჩეროს მისი საფირმო სახელწოდებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენება, და უკანონო გამოყენებისათვის გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია, ხოლო სააგენტოში ის ითხოვს მოპასუხის ქმედებების კანონის 11^3 მუხლის - არაკეთილსინდიერი კონკურენციის კონტექსტში შეფასებას. მომჩივნის მოთხოვნების ჭრილში, სააგენტო აღნიშნავს, რომ დავის საგნები არის იდენტური, შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით:

როგორც სააგენტოში წარდგენილი საჩივარი, ისე სასამართლოში შეტანილი სარჩელი ეხება ერთსა და იმავე ქმედებას - მოპასუხის მიერ მომჩივნის საფირმო სახელწოდებისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენებას შედარებით რეკლამაში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის შეზღუდვის არიდება და რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი დათქმაა, მოცემული საქმის გარემოებების კონკურენციის ჭრილში განხილვაც სასამართლოს შეფასების ფარგლებში განსახორციელებელი კვლევის საგანია. იმის გათვალისწინებით, რომ შედარებითი რეკლამა, როგორ წესი, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის პროდუქციის ან მომსახურების შედარებას მოიცავს და შესაბამისი ნორმატიული დაცულობაც მიმართულია არასწორი, მადესკრიდიტირებელი ქმედების ან კონკურენტის რეპუტაციის მითვისების/შელახვის წინააღმდეგ, სასამართლოს შემთხვევაშიც და შესაბამისად, სააგენტოს მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კუთხით საკითხის შეფასება შეეხება - თუ რამდენად არღვევდა გამოყენებული რეკლამა კონკურენტის უფლებებს/ინტერესებს, რაც საბოლოოდ იწვევს მომხმარებლის ინტერესების დაზიანებასაც.

გარდა ამისა, როდესაც ფაქტობრივი გარემოება შესაძლოა იწვევდეს როგორც ინტელექტუალური საკუთრების, ისე კონკურენციის სამართლის ნორმების შესაძლო დარღვევას, სასამართლო სარჩელს კომპლექსურად, ერთობლივი ანალიზის კონტექტსში განიხილავს, რაც დამატებით მიუთითებს ქმედების შეფასებისას ორივე კანონმდებლობის გამოყენების საჭიროებაზე. მაშასადამე, შპს „გოუტრიპისთვის“ მიყენებული ზიანის საკითხის განხილვისას, სასამართლოს შეფასების საგანს, მათ შორის, წარმოადგენს იმ ქმედების/ქმედების შედეგების შეფასება, რომლებიც შეიძლება კონკურენციის სამართლის დარღვევის ნიშნებად შეფასდეს.

3.3.3. საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნა

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კანონის 28-მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. აღნიშნული ნორმის მიხედვით, აშკარაა, კანონის დარღვევის საკითხის შეფასების კომპეტენცია ალტერნატიულად აქვს როგორც სააგენტოს, ასევე, სასამართლოს. პირს, რომელიც თვლის, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად ადგება ზიანი, კანონმდებელი ანიჭებს უფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი უფლების დაცვის სამართლებრივი გზა - მიმართოს სააგენტოს მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით, თუ მიმართოს პირდაპირ სასამართლოს, სააგენტოში საჩივრის წარდგენის გარეშე. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში განმტკიცებულია დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი - ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და დადგენილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამასთან, კონსტიტუცია აღიარებს ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი, სასამართლოს აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები სასამართლოს პრაქტიკაც. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით,

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს - ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველმყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს“.[2]

მოცემულ შემთხვევაში, შედარებით რეკლამაში მომჩივნის საფირმო სახელწოდებისა და რეგისტრირებული სასაქონლო უნებართვო გამოყენებისთვის დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანმა სააგენტოში საჩივრის (რეგ. N01/2980; თარიღი: 14.05.2025) წარმოდგენამდე თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა (თარიღი: 13.12.2024), ამასთან, ორივე შემთხვევაში დავის საგანი იდენტურია. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ შინაარსობრივად იდენტური სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა შპს „გოუტრიპის“ საჩივრის საფუძველზე.[3]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი, ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპები და სააგენტოს მიერ აღსასრულებელი სპეციალური „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სააგენტოს ართმევს შესაძლებლობასა და უფლებამოსილებას, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაიწყოს მოკვლევა, თუ სასამართლოში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე მიმდინარეობს დავა.

---

[2] საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nბს-80-75, 02.07.2013წ. (https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/9626/0) (ბოლო ნახვა 30.06.2025).

[3] ერთგვაროვანი პრაქტიკისათვის იხ., სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების (რეგ: N 04/225; თარიღი: 07/11/2022) საფუძველზე დამტკიცებული გადაწყვეტილება 2022 წლის 06 სექტემბრის №01/1583 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

4. საჩივრის დასაშვებობის სტანდარტი

საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებობის სტანდარტს. მოცემულ შემთხვევაში, აღარ დგას სადავოდ გამხდარი კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის 11^3 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული შემადგენლობის შეფასება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი, სააგენტო ვერ იმსჯელებს საჩივრის დასაშვებობის მატერიალურ სტანდარტთან დაკავშირებით და, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გონივრული ეჭვის არსებობა კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის კონტექსტში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, ახლადაღმოჩენილი/ახლადაგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტემბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის ‘ბ“ ქვეპუნქტი და მესამე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლების შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „გოუტრიპის“ 2025 წლის 14 მაისის N01/2980 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე